

## პრესრელიზი

### GIG ჩინელ ინვესტორებთან შეხვედრებს მართავს

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (ჯი-აი-ჯი) დაგეგმილი მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების ეფექტური განხორციელების მიზნით ჩინელ ინვესტორთა ჯგუფს ხვდება.

15 ოქტომბერს, თბილისში ჯი-აი-ჯის ცენტრალურ ოფისში გამართული მოლაპარაკებების პროცესში კორპორაცია „Dongfang Electric Corporation“-ის პირველ პირებთან ერთად „Silk Road Fund“-ის მენეჯმენტიც ჩაერთო. ჩინელი ინვესტორები, საქართველოში საერთაშორისო ფორუმის „თბილისის აბრეშუმის გზის“ ფარგლებში იმყოფებიან.

მხარეებმა ტყიბულში ახალი თბოელექტროსადგურის „ტყიბული 150“-ის ტექნიკური და ფინანსური მხარეები განიხილეს. ფონდის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია პროექტში ჩართვით და ამ ეტაპზე შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ „Dongfang Electric Corporation“-ს, ტყიბულის მუნიციპალიტეტში 150 მგვტ. სიმძლავრის, ნახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ფარგლებში პარტნიორ მხარედ განიხილავს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ადგილზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მოლაპარაკებების პროცესში ჩინურ მხარეს წარმოადგენდა: „Dongfang Electric Corporation“-ისა და „Silk Road Fund“-ის პირველი პირები. შეხვედრაში ქართული მხრიდან საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის დამფუძნებელი დავით ბეჯუაშვილი, გენერალური დირექტორი იორგ მათიესი, ფინანსური დირექტორი ზურაბ გელენიძე, კომპანია „ტყიბული 150“-ის გენერალური დირექტორი გივი ჭაჭია და „ტყიბული 150“-ის მენეჯერი თორნიკე მელაძე მონაწილეობდნენ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 150 მგვტ. სიმძლავრის, ნახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულება 2014 წლის ივნისში, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკისა და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ შორის გაფორმდა. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ გოზალიშვილმა, მთავრობის

მხრიდან ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ და და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მოაწერეს. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივ აირზე მომუშავე ახალი მაღალეფექტური თბოელექტროსადგურის მშენებლობას, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად.

15.10.15

---

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

---

"Georgian Industrial Group" Ltd  
Gazapkhuli str. 14, 0177, Tbilisi  
Tel.: +995 32 221 01 87  
Fax: +995 32 221 01 89  
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:  
E-mail: [m\\_manjgaladze@gig.ge](mailto:m_manjgaladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 06  
E-mail: [n\\_bandzeladze@gig.ge](mailto:n_bandzeladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:   
Georgian Industrial Group Holding

